სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #1318) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

| # | კონკურსანტის დასახელება | დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „სამანი" | 26.08.2014 17:23 [illegible] | |
| 2 | შპს „[illegible]" | 26.08.2014 17:50 [illegible] | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

საკონკურსო აპარატის წევრი
ე. ბოლქვაძე

## საგადახდო დავალება
## Payment Order

\# | | GEL

თარიღი / Date: 25/08/2014

ს.ს. თიბისი ბანკი - თბილისის სერვისცენტრი #2

რეფერენსი / Ref. Num. 1077872173

| | |
|---|---|
| გადამხდელი / Sender | შპს სამანი - 404444650 |
| გადამხდელის ანგარიში / Sender's Account | GE42TB7836436080100004 |
| გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | სს თიბისი ბანკი |
| ბანკის კოდი / Bank Code | TBCBGE22 |

**ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც ხორციელდება გადახდა**
**Information on a person on behalf of whom the payment is made**

| | |
|---|---|
| დასახელება / Name | შპს სამანი |
| იდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code | 404444650 |
| მიმღები / Receiver | სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო |
| მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code | GE52BR0000010597718543 |
| მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank /Treasury | სს "ბანკი რესპუბლიკა" |
| ბანკის კოდი / Bank Code | REPLGE22 |
| გადახდის დანიშნულება / Operation Details | სოფელ კართანის (დუშეთის მუნიც.) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსში მონაწილეობა |
| დამატებითი ინფორმაცია / Additional Information | უნიკალური კოდი: 1318 |

თანხა / Amount: 50.00 GEL

თანხა სიტყვიერად / Amount in words: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

შესრულების თარიღი / Operation Date: 25/08/2014

ბანკში მიღების თარიღი /Received: 25/08/2014

ხელმოწერა / Signature

ბეჭდის ადგილი

ხელმოწერები / Signatures ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად ეცნობა სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, როგორც ერთიან ხელშეკრულებას.

8/25/2014 2:10:18 PM 1077872173 ბანკი ოპერაციონისტი

TBC BANK

04/106-01

# სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #2458364-2668461

თბილისი | 2014 წლის 25 აგვისტო

სს "თიბისი ბანკი", წარმოდგენილი მისი ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2-ის სერვის მენეჯერი [illegible] სახით მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით:

| | |
|---|---|
| გარანტი: | სს "თიბისი ბანკი" |
| პრინციპალი : | შპს საშენი<br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 404444650<br>რეგ. თარიღი: **29.04.2013** |
| ბენეფიციარი : | სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო |
| გარანტიის თანხა : | 100.00(ასი ლარი) |
| გარანტიის გაცემის საფუძველი : | "ბენეფიციარის" მიერ გამოცხადებული ტენდერი, რომელიც ჩატარდება კონკურსის (ღიაობის მეშვ.) ელექტრონული რეჟიმალურ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსში მონაწილეობისთვის "პრინციპალმა" უნდა წარადგინოს საბანკო გარანტია. |
| გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება: | "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საბანკო გარანტიის წერილის პირობების გათვალისწინებით, პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის[1] ვადაში "ბენეფიციარს" გადაუხადოს მოთხოვნაში მითითებული თანხა, მაგრამ არაუმეტეს გარანტიის თანხისა<br>1. სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.<br>იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის თანხა დენომინირებული იქნება უცხოურ ვალუტაში, ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში (გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად).<br><br>ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში (რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ) აუცილებელი წესით უნდა მიუთითოს თუ ქვემოთ მოყვანილი შემთხვევებიდან რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა:<br>1. სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ "პრინციპალმა" უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების ვადის დასრულებამდე;<br>2. "პრინციპალმა" გამარჯვების შემდეგ უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე;<br>3. "პრინციპალი" დისკვალიფიცირებულ იქნა პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.<br><br>წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს სს თიბისი ბანკის მთაწმინდის სერვისცენტრი #2-ის კანცელარიაში სამუშაო საათებში. |
| გარანტიის მოქმედების ვადა : | გარანტია ძალაში შედის 25.08.2014 და მოქმედებს 27.10.2014 ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღის ჩათვლით. |

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით, მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება (ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის გასვლით).

საბანკო გარანტია ზემოაღნიშნულის გარდა ასევე უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

- ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობითი უარის თქმით და საბანკო გარანტიის დედნის გარანტისთვის დაბრუნებით;
- პრინციპალის მიერ საგარანტიო ვალდებულებების სრულად შესრულებით, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იქნას ბენეფიციარის მიერ.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის [illegible] ვრცელდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნით გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).

საბანკო გარანტიის თანხაზე წარმოშობილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2-ის სერვის მენეჯერი [illegible]

დანართი 1

1. რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: | შპს "სამანი" |
| ხელმძღვანელის სახელი და გვარი: | ნოდარ მინდორაშვილი |
| კონკურსანტის იურიდიული მისამართი: | ქ. თბილისი, ვერცხლის ქ. №22 |
| კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: | ქ. თბილისი, ვერცხლის ქ. №22 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 404 444 650 |
| კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: | +995 599 76 98 90 |
| ელექტრონული მისამართი: | likachinchaladze@yahoo.com |
| ბანკის კოდი: | **TBCBGE22** |
| ანგარიშსწორების ანგარიში: | **GE42 TB78 3643 6080 1000 04** |
| 2. საკონკურსო წინადადების ფასი: | 10 000 ლარი |
| 3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: | 2014 წლის 26 სექტემბერი |
| 4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: | 30% |

შპს "სამანი"-ს დირექტორი /ნოდარ მინდორაშვილი/

შპს "სამანი" • "SAMANI" LLC • 404444650

დუშეთის მუნიციპალიტეტი

# ნასოფლარ კართანას ეკლესია



ხელმძღვანელი ნ. მინდორაშვილი

თბილისი 2014 წ

# კართანის ეკლესია

ეკლესია მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მაღაროსკარის ჩრდილოეთით, ოთხიოდე კმ-ზე, მდ. ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ნასოფლარ კართანის მახლობლად, მაღალი მთის წვერზე.

ძეგლი 1974 წელს გათხარა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რამინ რამიშვილი). ნაყარი მიწისგან და კედლების ნანგრევებისგან გაიწმინდა ეკლესიის ინტერიერი და მინაშენი, რომელიც ეკლესიას სამხრეთიდან გასდევდა. 1982 წელს ჩატარდა ეკლესიის არქიტექტურული აზომვა (ნ. მინდორაშვილი, აკ. შავერდაშვილი, გ. ქალებაშვილი).

ეკლესია დარბაზული ტიპისაა (გარეთა ზომები: სიგრძე – 13,30 მ, სიგანე – 7,1 მ), ნახევარწრიული აფსიდით აღმოსავლეთით და ორი შესასვლელით – დასავლეთიდან და სამხრეთიდან.

შენობა აგებულია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით – კირის დუღაბზე. წყობაში – უმთავრესად კონსტრუქციული ელემენტების – ნატეხ ქვასთან ერთად გამოყენებულია შირიმის ნათალი ქვაც.

ძეგლი ძლიერ არის დაზიანებული. მისგან მთელ სიმაღლეზე მხოლოდ საკურთხევლის აფსიდიდა დგას, მაგრამ მასაც კონქის თავზე არსებული ნაწილი და სახურავი აკლია. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებიდან, დიდი დანაკარგების გარეშე, მხოლოდ საკურთხევლის მიმდებარე ნაწილებიდა დგანან. ამავე კედლების დასავლეთი ნაწილი და დასავლეთი კედელი 3-3,5 მის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

ეკლესიის ორივე შესასვლელს გარედან ნახევარწრიული თაღი ხურავს, შიგნიდან კი, თარაზულადაა გადახურული – მოზრდილი, არაწესიერი ფორმის ქვით. სარკმლებიდან მხოლოდ საკურთხევლის სარკმელიდაა შემორჩენილი. იგი აფსიდის ღერძზეა გაჭრილი, გადახურულია ნახევარწრიული თაღით და გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება. აფსიდი, რომლის იატაკი ფიქლით იყო მოგებული, ეკლესიის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული. აფსიდის ორივე გვერდში თითო ნიშაა. მათ შორის ჩრდილოეთით მდებარე, სამკუთხა თაღითაა გადახურული, სამხრეთით მდებარე კი, ოთხკუთხაა. იგი კედლის სიღრმეში საკმაოდ ღრმადაა შეჭრილი და გეგმით ტეხილი ფორმა აქვს. აფსიდს მთელ სიგრძეზე გასდევს

ხარისხი. საკურთხევლის შუაში შემორჩენილია შირიმის ნათალი ქვით ნაგები ტრაპეზის ნაშთი, ხოლო წინ, აფსიდის მხრების ხაზიდან ოცდაათიოდე სმ-ზე, შირიმით ნაწყობი კანკელის საფუძველი. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რომლის თაღის დიდი ნაწილი შირიმის ქვითაა გამოყვანილი. თაღი ეყრდნობა შირიმის პროფილირებულ (თარო, დახრილი სიბრტყე და ლილვი) იმპოსტებს.

დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია ორ-ორი ორსაფეხურიანი პილასტრით და მათ შორის გამოყვანილი თითო ყრუ თაღით, რომლებიც პილასტრების გვერდითი საფეხურების დამაგვირგვინებელ იმპოსტებს ეყრდნობა. იმპოსტების პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. პილასტრების წინა საფეხურზე კამარის საბჯენი თაღები იყო დაყრდნობილი. მათი მცირე ნაწილი პილასტრების მხოლოდ აღმოსავლეთ წყვილსღა შემორჩა. შიგნით ეკლესია გადახურული იყო ცილინდრული კამარით, რომლისგანაც გვერდების მხოლოდ აღმოსავლეთ მონაკვეთებია შემორჩენილი.

ეკლესიას სამხრეთიდან, მთელ სიგრძეზე, გასდევდა მინაშენი, რომლის კვალიღაა შემორჩენილი.

P.S.

ჩვენი საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია ძეგლის სრული აღდგენა ტრადიციული მეთოდით, რის საფუძველსაც შემორჩენილი ნაწილები დარწმუნებით გვაძლევენ. როგორც უკვე აღინიშნა, 1982 წელს, ჩვენ მიერ ჩატარდა ძეგლის აზომვითი სამუშაოები. კროკები და ნახაზები ინახებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში. ნახაზების ნაწილი გამოქვეყნებულია – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის" მე-2 წიგნში (თბ., 2008, გვ. 272).

არქიტ. რესტავრატორი ნ. მინდორაშვილი

ნასოფლარ კართანას ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის

ჩასატარებელი გამაგრებითი სამუშაოების წინასწარი

ჩამონათვალი

1. ჩატარდეს ინჟინრულ-გეოლოგიური კვლევა სათანადო რეკომენდაციებით.

2. აღმოსავლეთ კედელზე, საკურთხეველში არსებული ბზარის მიმდებარე დეფორმირებული წყობა გადაეწყოს

3. დაზიანებულ წყობაში ყველა კედლებზე სუსტი ქვები ჩაისვას დუღაბში, ბზარები ამოივსოს, ამოირეცხოს და შეივსოს დუღაბით.

4. დასავლეთის კედლის ნაწილი და ყველა კედლების ზედაპირიდან მოიხსნას გამოფიტული წყობა, აღსდგეს კედლის წყობა, მოეწყოს მონოლითური რკ.ბეტონის სარტყელი კამარის ქუსლის დონეზე.

5. მოეწყოს ქვის კამარა და მის თავზე მასთან დაკავშირებული მონოლითური რკ.ბეტონის კამარა.

6. ფრონტონებზე და კონქის ნაწილში კარნიზის დონეზე მოეწყოს მონოლითური რკ.ბეტონის სარტყელი

7. მოეწყოს თუნუქის ორქანობიანი სახურავი ხის ნივნივებზე.

8. რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდება აღნიშნული რეკომენდაციების კორექტირება.

ინჟ.კონსტრუქტორი რ. ჟორჟიკაშვილი

## აერო ფოტო




## სიტუაციური გეგმა



არსებული მდგომარეობა



ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთით



ხედი სამხრეთის კარის ღიობზე



ხედი დასავლეთიდან



ხედი სამხრეთიდან



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით



ინტერიერი. ხედი დასავლეთ ღიობზე



ინტერიერი. ხედი სამხრეთით



ინტერიერი. ხედი დასავლეთით



ინტერიერი. ხედი სამხრეთით



ინტერიერი. ხედი აფსიდზე



ხედი აღმოსავლეთიდან



ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით



ინტერიერი. ხედი სამხრეთით



ინტერიერი. სამხრეთ ღიობზე



ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთით



ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთით



ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთით



ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთით



ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთით

დანართი #2

# აფიდავიტი

**საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

# ინფორმაცია გამოცდილების შესახებ

| # | მომსახურეობის დასახელება | ხელშეკრულების თარიღი | შემსყიდველი ორგანიზაციის (დამკვეთის) დასახელება | შემსრულებელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზიარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 24.07.2013წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 2 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ზეგანის მთავარანგელოზთა მცირე დარბაზული ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 24.07.2013წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 3 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ახიანის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 24.07.2013წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 4 | გარდაბნის მუნიციპალიტეტის ლეთაების მამათა მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 24.07.2013წ | სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 5 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კალაურის წმ. ნინოს ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 24.07.2013წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 6 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენის სვეტიცხოვლის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 23.04.2014წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 7 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხოველის ლომისის წმ. გიორგისეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 17.03..2014წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |

შპს "სამანი"-ს დირექტორი /ნოდარ მინდორაშვილი/

ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯთაღრიცხვა

| # | დასახელება | თანხა ლარებში |
|---|---|---|
| 1 | განმარტებითი ბარათი | 250.00 |
| 2 | კონსტრუქციული ნაწილი | 800.00 |
| 3 | საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა _ მ. 1:2000 ან 1:1000; | 500.00 |
| 4 | ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500; | 800.00 |
| 5 | სისტემატიზირებული ფოტომასალა | 375.00 |
| 6 | არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით | 2766.26 |
| 7 | კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა; | 500.00 |
| 8 | შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები; | 375.00 |
| 9 | არქეოლოგიური კვლევა; მიწის სამუშაოთა შესრულების პროცესში არქეოლოგიური მეთვალყურეობა | 500.00 |
| 10 | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა | 625.00 |
| 11 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები | 500.00 |
| 12 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესაბამისი ფორმა დანართი 2) | 250.00 |
| 13 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით; | 250.00 |
| 14 | ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა. | 250.00 |
| | პირდაპირი ხარჯები | **8741.26** |
| | ზედნადები ხარჯები 10 % | 874.13 |
| | სულ | 9615.39 |
| | გეგმიური დაგროვება 4% | 384.62 |
| | სულ | **10000.00** |

შპს "სამანი"-ს დირექტორი /ნოდარ მინდორაშვილი/

ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გეგმა-გრაფიკი

| N | პერიოდი | სექტემბერი | ოქტომბერი | 21 ნოემბრამდე |
|---|---|---|---|---|
| 1 | განმარტებითი ბარათ | | | |
| 2 | კონსტრუქციული ნაწილი | | | |
| 3 | საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა _ მ. 1:2000 ან 1:1000; | | | |
| 4 | ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500; | | | |
| 5 | სისტემატიზირებული ფოტომასალა | | | |
| 6 | არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით | | | |
| 7 | კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა; | | | |
| 8 | შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები; | | | |
| 9 | არქეოლოგიური კვლევა; მიწის სამუშაოთა შესრულების პროცესში არქეოლოგიური მეთვალყურეობა | | | |
| 10 | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა | | | |
| 11 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები | | | |
| 12 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა დანართი 2) | | | |
| 13 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით; | | | |
| 14 | ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა. | | | |

შპს "სამანი"-ს დირექტორი/ /ნუგზარ მინდორაშვილი/

შპს "სამანი" "SAMANI" LLC 404444650

# CV



საკვალიფიკაციო მონაცემები

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი: | ნოდარ მინდორაშვილი |
| დაბადების თარიღი: | 1951 წ. 29 ივნისი |
| მოქალაქეობა: | საქართველოს მოქალაქე |
| ეროვნება: | ქართველი |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაოჯახებული |
| მისამართი: | ქ. თბილისი, ყურცხლის ქ. №22 |
| | ტელ. : 92-17-21 ; 899-76-98-90 |
| ენების ცოდნა: | ქართული, რუსული |

ძირითადი კვალიფიკაცია: 1975 წლიდან მუშაობს ძეგლთა დაცვის სისტემაში, 1980-83 წლებში პარალელურად თანამშრომლობს ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან, როგორც არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შესრულდა არქეოლოგიური ძეგლების დეტალური ანაზომები. დამუშავდა ჟინვალის ნაქალაქარიდან უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადატანის პროექტი. მარკირებისა და სათანადო ქარგილების გამოყენებით გადატანილია: 1) ხეროვისის კოშკის კომპლექსი დაბა ჟინვალში; 2) XIII ს. საცხოვრებელი დარბაზის ფრაგმენტები; 3) კერამიკის გამოსაწვავი ქურა; 4) XIII ს. აკლდამა; 5) მცირე ეკლესია აკლდამით; 6) წარმართული ხანის საკურთხეველი საიდუმლო გასასვლელით.

განათლება: 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტორ-რესტავრატორის პირველი გამოშვება.

სამუშაო გამოცდილება: 1975-1977 წლამდე მუშაობდა კულტურის სამინისტროს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო კანტორა „კულტპროექტში" (რუსთაველის პროსპექტი).

1977 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოში (ყიფშიძის ქ. №34), შემდგომში საპროექტო ინსტიტუტი „საქრესტავრაცია" ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ცენტრში პროექტის მთ. არქიტექტორად.

1997 წლიდან დღემდე მუშაობს ხელშეკრულებით: საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრში არქიტექტორ-რესტავრატორად.

1975 წლიდან შესრულებულია მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით:

გარდაბნის რაიონი

1. მარტყოფის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციის პროექტი. 1975-76 წწ.

2. სოფ. საცხენისის დარბაზული ეკლესია. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად (აზომვები).
3. მარტყოფის გუმბათიანი ეკლესია. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად (აზომვები).

<u>თერჯოლის რაიონი</u>

1. დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი ზემო სიმონეთში. აღდგენილია 1979 წ.

<u>ხელვაჩაურის რაიონი</u>

1. გონიოს ციხე. V-XVII სს. აღდგენა მიმდინარეობდა ეტაპობრივად. აღდგენილია ციხე-გალავანი და კოშკების ძირითადი ნაწილი.

<u>2. სოფ. სარფი. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია. ( ანაზომი რესტავრაციის ესკიზური პროექტის ავტორი რ. ცხადაძესთან ერთად 2002 წელი).</u>

<u>ხულოს რაიონი</u>

1. ვერნების XI სს. დარბაზული ეკლესია. ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაცია. 1979 წ. ხელმძღვანელი.
2. ფურტიოს და დანდალოს ხიდები შუა საუკუნეების. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1980 წ.

<u>3. ხიხანის ციხე . ( ანაზომი რესტავრაციის პროექტის ავტორი თ. დვალთან, ა. შავერდაშვილთან და გ. ქალებაშვილთან ერთად 2012 წელი).</u>

<u>ქ. თბილისი</u>

1. ვორონცოვის კოშკი – აღდგენილია 1980 წ.
2. ერეკლეს მოედანი. გიორგი XII-ს სასახლე. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1984 წ.
3. ბოტანიკური ბაღი. ძველი ხიდი შუა საუკუნეების. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1986 წ.
4. სიონის ეკლესია განვით. შუა საუკუნეები. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1980 წ.

<u>გურჯაანის რაიონი</u>

1. ველისციხის სამეკლესიიანი ბაზილიკა VI-VII სს. აღდგენილია 1984 წ.
2. ველისციხის სამრეკლო XIX სს. აღდგენილია 1994 წ.
3. სოფ. კოლაგი. წმ. მარიამის ეკლესია. გვიანი შუა საუკუნეები. რესტავრაციის პროექტი. 1991 წ.
4. სოფ. კოლაგი. მთავარანგელოზის მცირე დარბაზული ეკლესია. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
5. სოფ. კოლაგი. ვაჩნაძიანის დიდი ციხე. რესტ. პროექტი. 1992 წ.
6. სოფ. კოლაგი. ვაჩნაძიანთ პატარა ციხე. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
7. დავით გარეჯის დარბაზული ეკლესია. XVI ს. აღდგენილია 2000 წ. (გურჯაანში).
8. კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია სოფ. სასასოში. პროექტი.
9. კარდანახის გუმბათიანი ეკლესია. კანკელი.
10. ქ. გურჯაანი. ზღუდრის ეკლესია XVII სს. აღდგენილია 1985 წ.

<u>თელავის რაიონი</u>

1. კისისხევის „კონდამიანი". VII სს. სამეკლესიიანი ბაზილიკა, ესკიზური პროექტი. 1985 წ.
2. კისისხევის გუმბათიანი ეკლესია. VI ს. ესკიზური პროექტი. 1985 წ.
3. კისისხევი. წმ. ნინოს VI ს. სამეკლესიიანი ბაზილიკა 1995 წ. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად.

<u>დედოფლისწყაროს რაიონი</u>

1. ტიბაანის კომპლექსი. ეპისკოპოსის სასახლე. აღდგენილია 1985 წ.

<u>მცხეთის რაიონი</u>

1. ანტიოქია მცხეთაში. IV ს. ჯგუფთან ერთად. აღდგენილია 1978 წ.
2. სვეტიცხოვლის გუმბათის ფიქსაცია XII ს. ჯგუფთან ერთად. 1977 წ.
3. სვეტიცხოველი. ეპისკოპოსის სასახლე XII ს. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად.1998წ
4. ბაგინეთი. რომაული აბანო II ს. აღდგენილია 1993 წ.
5. წილკანი. გუმბათიანი ეკლესია. პროექტის ავტორი. აღდგენილია 1983 წ.
6. წილკანი. გალავანი და კოშკები. აღდგენილია 1983 წ.

<u>ცხინვალის რაიონი</u>

1. ნიქოზის ერისთავების სასახლე. VIII ს. ესკიზური პროექტი. 1984 წ.

<u>საჩხერის რაიონი</u>

1. სავანეს წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია. XI ს. აღდგენილია 1997 წ.
2. სავანეს წმ. ნიკოლოზის გუმბათიანი ეკლესია. XV ს. აღდგენილია 1991 წ.
3. საჩხერის წმ. ნინოს გუმბათიანი ტაძარი. XV ს. აღდგენილია 1993 წ.
4. ჭალის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია. XII ს. აღდგენილია 1991 წ.

<u>ყაზბეგის რაიონი</u>

1. სოფ. ახალციხის სამნავიანი ბაზილიკა. X ს. აღდგენილია .
2. ტყარშეთის „მამაწმინდის" დარბაზული ეკლესია. X ს. რესტავრაციის პროექტი. 1982 წ.
3. სნოს ციხე-გალავანი. აღდგენილია (არქ. ზედამხედველობა) 1982 წ.
4. ყაზბეგში ხიდიკაშვილების საცხოვრებელი კომპლექსი. გვიანი შუა საუკუნეები. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი. 1983 წ.
5. დარიალის ციხე (თამარის ციხე) ადრეული შუა საუკუნეები. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი. 1983 წ.
6. სოფ. ფხელშე. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები. აღდგენილია 1983 წ.

1. გელათის აკადემია. შუა საუკუნეები. ფიქსაცია. 1981 წ.

<u>ქარელის რაიონი</u>

1. ვარიანის დარბაზული ეკლესია. XI ს. რესტავრაციის პროექტი. 1984 წ.
2. ურბნისის ბაზილიკა V ს. რესტავრაციის ესკიზური პროექტი. 1988 წ.

<u>დუშეთის რაიონი</u>

1. საქართველოს სამხედრო გზა. აღდგენილია 1983 წლისთვის.
   - ლომისის წმ. გიორგის ეკლესია. X ს.
   - მერეს ციხე
2. ბზიანის ორნავიანი ბაზილიკა XI ს. ფიქსაცია.
3. ხახმატის ზედა და ქვედა ჯვრის კომპლექსები. რესტავრაციის პროექტი. 1987 წ.
4. არდოტის ისტორიული სოფელი. წინასწარები და გენგეგმის ფიქსაცია. 1991 წ.
5. არდოტის გუმბათიანი ეკლესია. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
6. კისტანის ხუროთმოძღვრული კომპლექსი. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი.1994წ.
7. მუცოს ისტორიული სოფელი. არასრული ფიქსაცია. 1991 წ.
8. არხოტის საკულტო ნაგებობები (ფიქსაცია ჯგუფთან ერთად) 1992 წ.
9. შატილის ხატები. აღდგენილია 1984 წ.
10. შატილი. გადაუდებელი აღდგენა-რეაბილიტაციის პროგრამა. რესტავრაციის პროექტი. 1999 წ.

შპს "სამანი" "SAMANI" LLC 404444650

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი: | თამაზი |
| გვარი: | დვალი |
| მამის სახელი: | პიმენი |
| დაბადების თარიღი: | 03. 01. 1949 |
| მისამართი: | თბილისი ვ. ტატიშვილის (ყოფ. ყაზბეგის) ქ. № 19, IV სადარ., ბ. № 4 |
| პირადობის მოწმობა: | პირადობის მოწმობა, პირ. № 01021001294 |
| ტელეფონი: | 2 25 02 82, 577 25 02 82 |
| განათლება: | უმაღლესი, |
| სპეციალობა: | არქიტექტორი |
| სახელმწ. ჯილდოები: | სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1993, 1996) |
| | შეყვანილი ვარ ენციკლოპედიებში: "თბილისი" 2002, გვ. 420 და "საქართველო", ტ. 2, თბ. 2012, გვ. 391. |

პროფესიული საქმიანობა:

1971 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი – არქიტექტორი. 1987 წლიდან 2006 წლამდე – ამავე ინსტიტუტის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციის გამგე. 2006 წლიდან დღემდე – ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფის ხელმძღვანელი.

1971 წლიდან დღემდე – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების მეცნიერული ფიქსაცია (ანაზომები, სტატიები) – "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის" მრავალტომეულში

გამოსაცემად. მიკვლეული, აზომილი და მეცნიერულად შეისწავლილი მაქვს 1500-ზე მეტი ხუროთმოძღვრული ძეგლი;

1997-იდან ვხელმძღვანელობ ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომეულის "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის" გამოცემას. ვარ აღნიშნული კრებულის 2 წიგნის (2008) სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი და I-I წიგნის (2013) მთავარი რედაქტორი.

– ვარ რვატომეულის "GEORGIAN ARCHITECTURE"-ს (გამომცემელი – საერთაშორისო დოკუმენტაციის კომპანია IDC, ნიდერლანდების სამეფო, ლეიდენი 1994-2010.) გამოცემის მოთავე და რედაქტორი.

მრავალტომეულში მიმოხილულია საქართველოს და ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის) ტერიტორიაზე მდებარე, ჩვენი ეროვნული ხუროთმოძღვრების 2000-მდე ძეგლი, რომელთა სახვითი მასალა (ფოტოსურათები, ნახაზები) შეადგენს 47.000-მდე ილუსტრაციას. კრებულის ყოველი ტომის მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვა, კოორდინაცია, ძეგლების სისტემატიზაცია, სახვითი მასალის გაწყობა და სხვ. ჩემს მიერაა შესრულებული. ჩემს მიერაა გამოხაზული (კომპიუტერით) ასეულობით ნახაზი და გადაღებულია ადგილზე მრავალი ძეგლის რამდენიმე ათასი ფოტოსურათი.

1996 წელს კრებულის I ტომს მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში;

– ვარ რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლის რესტავრაციის პროექტის ავტორი და თანაავტორი (ნაილურის ციხე, ვანნაძიანის ყველაწმინდა, კალაურის ნათლისმცემლის მონასტერი, ხიხანის ციხე; არანისის ღვთისმშობლის ეკლესია და სხვ.);

– ვარ ასევე:

– დიგიტალური გზამკვლევის "ქართული არქიტექტურა – აღმოსავლეთ საქართველო" (ინგლისურ ენაზე) – ავტორი (2009);

– ენციკლოპედია "თბილისი – ქუჩები, მოედნები, გამზირები" ძირითადი სარედაქციო სამუშაო ჯგუფის წევრი და ფოტოსურათების ავტორი (2008);

– რუკის – "ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები თურქეთში" – ავტორი.

– წიგნის "პირამიდიდან სვეტიცხოვლამდე" – რედაქტორი

გამოქვეყნებული შრომები:

- ათასზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ
- ალბომები:

„ოშკი" (2009),

"იშხანი" (2010),

"ოთხთა ეკლესია" (2011).

საკონტაქტო ტელ.: 577 250 282

ელ. ფოსტა: tamaz.dvali@gmail.com

ნ. [signature]

შპს "სამანი" "SAMANI" LLC 404444650



# CV

## საკვალიფიკაციო მონაცემები

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | გურამ ქალებაშვილი |
| დაბადების თარიღი: | 1957წ. 31 იანვარი |
| მოქალაქეობა: | საქართველოს მოქალაქე |
| ეროვნება: | ქართველი |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაოჯახებული |
| მისამართი: | ქ. თბილისი, ბ. ჭიჭინაძის 7, ბ. 25 |
| ტელეფონი: | 2 96–51–43; 593 744–936 |
| განათლება: | თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| 1982–1988წ.წ. | სპეციალობა არქიტექტორ–რესტავრატორი |

## პროფესიული გამოცდილების შესახებ

| | |
|---|---|
| 1988–1990წწ. | სპეც. სამეცნიერო–კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი **"საქრესტავრაცია"** |
| 1990წ. დღემდე | საქართველოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი **არქიტექტორ–რესტავრატორი.** |
| 2007 – 2008 წ | ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი **მთავარი არქიტექტორ-რესტავრატორი** |

| | |
|---|---|
| ენები: | ქართული, რუსული. |

## შესრულებული მნიშვნელოვანი სამუშაოები :

– ახატანის „ იოანე ნათლისმცემლი " მცირე ეკლესიის კონსერვაცია 1988 წ

– წედისი „ წმ. გიორგის " კომპლექსი საპროექტო სამუშაოები 1988 წ

– ხახმატის საკულტო კომპლექსი. აზომვითი და საფიქსაციო სამუშაოები 1989-1990წ

– საცხოვრებელი კომპლექსების: (ქისტანი, მუცო, არდოტი) აზომვითი და საფიქსაციო სამუშაოები 1989 წ

– ჩარგალი. პატარა ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1989 წ

– ლომისა. „ წმ. გიორგის " სამეკლესიანი ბაზილიკა საპროექტო და საფიქსაციო სამუშაოები 1989 წ

– ველისციხე. „ მარიამ ღვთისმშობლის " ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1989წ

– ველისციხე. სამნავიანი ბაზილიკა საპროექტო სამუშაოები 1989 წ

– წინანდალი. მცირე დარბაზული ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1990 წ

– შიომღვიმე. აზომვითი და საფიქსაციო სამუშაოები 1990 წ

– ორბელიანის მოედნიდან – მარჯანიშვილის მოედნამდე : აზომვითი და საფიქსაციო სამუშაოები 1989 წ

– სანხერე. „ წმ. ნინოს " გუმბათიანი ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1990 წ

– გრაკალი. „ მარიამ ღვთისმშობლის " ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1991 წ

– არდოტის გუმბათიანი ეკლესია 1992 წ. (თანაავტორი)

– ბუზმარეთი. „ მარიამ ღვთისმშობლის " ეკლესია საპრ. სამუშაოები 1992 წ

– უდე. „წმ. გიორგის " ეკლესია. საპროექტო და სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები — 2006 წ

– მცხეთის ჯვარი — აზომვითი სამუშაოები – 2006 წ

– წრომი. „ მარიამ ღვთისმშობლის " ტაძარი. სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2006 წ

– ურაველის აგარა. სამონასტრო კომპლექსი. მთავარი ტაძარი და სატრაპეზო. საპროექტო და სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები 2007 - 2008 წ

– აბასთუმანი. „ წმ. გიორგის ეკლესია " საპროექტო და სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები 2008 წ

– რუსთაველის გამზირი: № 18 , № 20 < № 22 , № 32 , № 34 , № 36 , № 38 , № 40, საპროექტო და სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2007 – 2008 წ

–გუდიაშვილის ქუჩა : № 5 ა, № 9 , №11 , № 11 ა, № 16 , საპროექტო სამუშაოები

–გუდიაშვილის მოედანი ; აბო თბილელის № 1 , ახოსპირელის № 1, 3, 3–7, გუდიაშვილის № 2, 4, 8, 9, ლერმონტოვის №3, 1–7 საპროექტო სამუშაოები 2008 წ.

– ადიგენი. შოლავერის „ მარიამ ღვთისმშობლის " ეკლესია, საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები 2010- 2013 წ.

– თბილისის მეტეხი. „ ღვთისმშობლის შობის “ ეკლესია. საპრ. სამუშ. 2009 წ.
– ლაგოდეხი. ხოშათიანის „ წმ. გიორგის “ ეკლესია საპრ. სამუშაოები 2008 წ
– ლაგოდეხი. ჭიკაანის „ მარიამ ღვთისმშობლის “ გუმბათიანი ეკლესია.
საპროექტო სამუშაოები 2008 წ
– მარტყოფი. „ ანტონ მარტომყოფელის “ კოშკი საპროექტო სამუშაოები 2008 წ
(თანაავტორი)
– ნეკრესი. დამხმარე ნაგებობა. 2009 წ (თანაავტორი)
– ყვარელი. სამების ეკლესია. რესტავრაციის პროექტი 2009 წ (თანაავტორი)
– ბოლნისი. ყორანთას „ წმ. გიორგის “ ეკლესია. საპროექტო სამუშაოები. 2009წ
– ყაზბეგი. ტყარშეთის „ წმ. გიორგის “ ეკლესია საპროექტო სამუშაოები 2009წ
– დაბა კოჯორი. უძოს „ წმ. გიორგის “ ეკლესია საპროექტო და სარესტავრაციო-
სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2010 წ.
– მამკოდა. „ მამკოდის წმ. გიორგის “ ეკლესიის საპროექტო და სარესტავრაციო-
სარეაბილიტაციო სამუშაოები 2010 წ
– ალი. „ მარიამ ღვთისმშობლის “ სახელობის ეკლესია. რეაბილიტაციის
პროექტი 2011 წ
– სოფ კოთელია. „ ზარიძეების საგვარეულო “ ეკლესია. რეაბილიტაციის
პროექტი 2011 წ
– ბოტანიკური ბაღი. „ თამარის ხიდი “ და „ კოშკი № 1 “ საპროექტო
სამუშაოები (თანაავტორი) 2011 წ
– აჭარა. ხიხანის ციხე. საპროექტო სამუშაოები. (თანაავტორი) 2012 წ.
– მლეთა. ლომისას „წმ. გიორგის“ ეკლესია საპროექტო სამუშაოები 2013 წ.
(თანა ავტორი).
– ადიგენი. პატარა სმადა. „ წმ. გიორგის “ ეკლესია, საპროექტო სამუშაოები 2014 წ.

ნ. [signature]

შპს "სამანი" • "SAMANI" LLC
404444850

# CV



## საკვალიფიკაციო მონაცემები

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი: | აკაკი შავერდაშვილი |
| დაბადების თარიღი: | 1952 წ. 8 ივლისი |
| მოქალაქეობა: | საქართველოს მოქალაქე |
| ეროვნება: | ქართველი |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაოჯახებული |
| მისამართი: | ქ. თბილისი, ტაბახმელა კორ. 1. ბ. 9 |
| | ტელ. 2 98 57 27 მობ. 555-72-84-69 |
| ენების ცოდნა: | ქართული, რუსული |

განათლება: 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტორ-რესტავრატორის სპეციალობით.

ძირითადი კვალიფიკაცია: 1978 წლიდან მუშაობს ძეგლთა დაცვის საპროექტო კვლევით ინსტიტუტში არქიტექტორ-რესტავრატორად.

1997 წლიდან დღემდე მუშაობს ხელშეკრულებით: საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრში არქიტექტორ-რესტავრატორად.

სამუშაო გამოცდილება:

1979-1980 წლებში ხუჯაბის გუმბათიანი ეკლესიის სარესტავრაციო-საპროექტო სამუშაოები. ავტორი

1981-1982 წწ საქართველოს სამხედრო გზის ხუროთმოძღვრული ძეგლების ფიქსაცია-პროექტირება. ავტორი და თანაავტორი.

1980-83 წლებში პარალელურად თანამშრომლობს ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან, მისი უშუალო მონაწილეობით შესრულდა არქეოლოგიური ძეგლების დეტალური ანაზომები. დამუშავდა ჟინვალის ნაქალაქარიდან უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადატანის პროექტი.

1982 წ საგურამო დ. გურამიშვილების მარანი. ავტორი. ვანის რ-ნი სოფ. შუამთის წმ. წიორგის სახ. დარბაზული ეკლესიის პროექტირება-რესტავრაცია

1984-86 წ ვანის რ-ნი. ზედა ვანის წმ. გიორგის ეკლესია. რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები.

–1986-88 წ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის და ფიქსაციაზე (ქართული ენციკლოპედია)

– 1986-89 წ ბორჯომის რ-ნი სლესის (მოქცევის) ციხის საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები.

– 1990- 91 წ დუშეთის რ-ნის სოფ. მუცოს, კისტანის, არდოტის და სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლების ფიქსაცია-რესტავრაციის საპროექტო სამუშაოების ავტორი, თანაავტორი.

– 2008 წ თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის საპროექტო სამუშაოები. (თანაავტორი)

– 2008 წ ვაჩნაძიანი. ყოვლადწმინდას აზომვითი სამუშაოები.

– 2009 წ. ყაზბეგი. ტყარშეთის „ წმ. გიორგის " ეკლესია საპროექტო სამუშაოები

– 2010 წ. მამკოდა. „ მამკოდის წმ. გიორგის " ეკლესიის საპროექტო და სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

– 2011 წ. ალი. „ მარიამ ღვთისმშობლის " სახელობის ეკლესია. რეაბილიტაციის პროექტი

– 2011 წ. სოფ კოთელია. „ ზარიძეების საგვარეულო " ეკლესია. რეაბილიტაციის პროექტი

– 2011 წ. ბოტანიკური ბაღი. „ თამარის ხიდი " და „ კოშკი № 1 " საპროექტო სამუშაოები

– 2012 წ. ხიხანის ციხე. საპროექტო სამუშაოები.

– 2013 წ. მლეთა. ლომისას „წმ. გიორგის" ეკლესია საპროექტო სამუშაოები (თანა ავტორი).

ნ.

შპს "სამანი" • "SAMANI" LLC
404444650

## პირადი ინფორმაცია:

| | |
|---|---|
| სახელი და გვარი: | **როლანდი ქორქიკაშვილი** |
| დაბადების თარიღი: | 04.XII.1949 |
| დაბადების ადგილი: | ქ. თბილისი |
| მისამართი: | ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 8, ბ. 21. |
| ოჯახური | |
| მდგომარეობა: | დაოჯახებული |
| მობილური: | 599 11 59 19 |
| ელ. ფოსტა: | tsiskadzeotari@gmail.com |

## განათლება: უმაღლესი

| | |
|---|---|
| 1966-1973 წწ. | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობა – სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა |

## შრომითი საქმიანობა:

| | |
|---|---|
| 1973-74 წწ. | სამხედრო-სამშენებლო ჯარები, უმცროს ოსტატი. |
| 1975-1981 წწ. | საპროექტო კანტორა "კულტპროექტი", ინჟინერ-კონსტრუქტორი, პროექტის მთავარი ინჟინერი. |
| 1981-1983 წწ. | ტრესტი "მიწისქვეშასპეცმშენმონტაჟი", სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი. |
| 1983-1993 წწ. | სამმართველო "საქკინორემმონტაჟი", საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი და საპროექტო ჯგუფის ინჟინერ-კონსტრუქტორი |
| 1998-2007 წწ. | ინდ. მეწარმე. |
| 2002 წ.-დღემდე | საპატრიარქოს ცენტრის საპროექტო დეპარტამენტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი. |
| 2004-2008 წწ. | შპს "მაგთიკონი", სამუშაოთა მწარმოებელი. |
| 2011 წ.-დღემდე | შპს "კომბიტეკი", საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი და სამუშაოთა მწარმოებელი. |
| 2013 წ.-დღემდე | შპს "აკადემპროექტი", ინჟინერ-კონსტრუქტორი. |
| 2013 წ.-დღემდე | შპს "სამანი", ინჟინერ-კონსტრუქტორი, სამუშაოთა მწარმოებელი. |

| | |
|---|---|
| ენების ცოდნა: | ქართული (მშობლიური) |
| | რუსული (კარგად) |

ნ. [signature]

შპს "სამანი" • "SAMANI" LLC • 404444650

დუშეთის მუნიციპალიტეტი

გეგმა



1952 - VIII.

ნასოფლარის ტაძარი

ჭრილი 1-1



ჭრილი 2-2




1982

ჭრილი 3-3



1982 წ.

4 - 4



1982-III

დუშეთის მუნიციპალიტეტი-

წინამძღვრის [illegible] ეკლესია

სამხრეთ ფასადი-




[illegible]


[illegible]

1982-წ

დუშეთის რ-ნი სოფ. კართანა

## გეგმა




უზომეს არქ.-რესტავრატორებმა
ნ. მინდორაშვილმა, ა. შავერდაშვილმა
და ბ. ძალუმაშვილმა 1982 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ქართანა

ჭრილი 1-1




აზომეს არქ.-რესტ.
ნ. მინდორაშვილმა
ა. შავერდაშვილმა და
გ. ქალებაშვილმა.
1982 წ.

დუშეთის რ-ნი სოფ. კართანა

ჭრილი 2-2

აზომეს არქ-რესტავრატორებმა
ნ. მინდორაშვილმა
ა. შაკერდაშვილმა და
გ. ქალეხსაშვილმა 1982წ.



დუშეთის რ-ნი სოფ. კაროთანა

ჭრილი 3-3




აზომეს არქ.-რესტავრატ.
ნ. მინდორაშვილმა
ა. შაკერდაშვილმა და
გ. ქალებაშვილმა
1982 წ

დუშეთის რ-ნი სოფ. კართანა

დასავლეთი ფასადი



ჭრილი 4-4



1 0.5 0 1 2 3 4 5

აზომეს არქ.-რესტავრატორებმა
ნ. მინდორაშვილმა
ა. შავერდაშვილმა და
გ. ქალებაშვილმა 1982 წ

დუშეთის რ-ნი სოფ. აკრთანა

<u>სამხრეთი ფასადი ფრაგმენტი</u>

აზომეს არქ.-რესტავრატორებმა
ნ. მინდორაშვილმა
ა. შუკურდაშვილმა და
ბ. ქალებაშვილმა 1982 წ.

